„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №10 • 16-31 (9458) • მაისი • 50 თეთრი

26 მაისი –საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისისადმი მიძღვნილი აქტივობები

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, დიდ მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეს მერაბ კოსტავას 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული თემატური ღონისძიება, სადაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა რომ, თანამედროვეობის გმირის ცხოვრება და მოღვაწეობა არის მაგალითი სამშობლოსათვის თავდადებისა. ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში სხვადასხვა სივრცე მოეწყო -მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიერ ორგანიზებული ყვავილების ფესტივალი, რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, ასფალტზე და სახეზე ხატვა, აქტივობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში - კარატეში, მკლავჭიდში, ჭიდაობაში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ამფითეატრის სცენა კი სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების აღსაზრდელებს დაეთმო, რომელთაც ფლეშმობი და სპორტული ცეკვები წარმოადგინეს. მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული აქტივობების შემდეგ საზეიმოდ გაიხნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მინი მოედანი, სადაც საჩვენებელი მატჩი გაიმართა. გამარჯვებულ გუნდს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელობის თასი გადაეცა.

დამოუკიდებლობის 101-ე წელი

26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სამხედრო ტექნიკის გამოფენით

დაიწყო. აქვე მოეწყო სენაკელი მხატვრის მოსე გერსამიას ნამუშევრების გამოფენა. ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, საკრებულოს, მერიისა და საზოგადოების

წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დილიდან სპორტული აქტივობები - ველორბოლა და მარათონი გაიმართა. შემდეგ იყო კოსტუმირებული მსვლელობა, რომლის მონაწილეებმა - ქორეოგრაფიული ანსამბლების მოცეკვავეებმა, სენაკელმა სპოტსმენებმა, ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების აღსაზრდელებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებმა ქალაქის ცენტალურ ქუჩებში გადაინაცვლეს. დამოუკიდებლობის დღისამდი მიძღვნილ საზეიმო აღლუმს ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები შეუერთდნენ. საზეიმო ღონისძიებები დღის ბოლომდე გაგრძელდა და გალა კონცერტით დასრულდა.

მოდი ღამე მუზეუმში

აქციას „მოდი ღამე მუზეუმში", რომელიც მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, სენაკის მუნიციპალიტეტი ტრადიციულად მრავალფეროვანი ღონისძიებებით - გამოფენებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და კულტურული აქტივობებით - შეუერთდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებითა და ნოქალაქევის არქოლოგიური მუზეუმის პარტნიორობით, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე აქციის ფარგლებში გაიმართა კონცერტი სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხის", „კოლხური ტრიოს", ვაჟთა ანსამბლის, ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრის „ფიროსმანი" მსახიობების, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით. საგანგებოდ დანთებული კოცონი და სანახაობრივად ულამაზესი გარემო განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნიდა. საღამო, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ფოიერვერკით დასრულდა. აქციამ „ღამე მუზეუმში", რომელიც საქართველოში 2011 წლიდან იმართება და მიზნად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მუზეუმების, მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ხელმისაწვდომობას ისახავს, წელს განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა - აქციას 114 მუზეუმი შეუერთდა.

მერიის სხდომათა დარბაზს ჟიული შარტავას სახელი მიენიჭა

26 მაისი - ერის ისტორიულ დროთა გაწყვეტილი კავშირის, მოშლილი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, თვისობრივად სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. სიმბოლურია, რომ ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზს საქართველოს ერთიანობისთვის ზვარაკად შეწირული, ღირსეული ერისკაცისა და საამაყო თანაქალაქელის ჟიული შარტავას სახელი მიენიჭა. მემორიალური დაფა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა გახსნეს.

<u>სენაკის</u>
<u>არტ ფესტივალი-2019</u>

ფესტივალის პირველი დღე

სენაკის მუსიკალური ფესტივალი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პატრონაჟით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით წელს მეექვსედ იმართება. 16 მაისს „სენაკის არტ-ფესტივალი 2019", აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ხელოვნების აკადემიის რექტორის, ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული და საერთაშორისო კონკურსებისა და სენაკის არტ-ფესტივალის დამაარსებლის, მსოფლიოში აღიარებული პიანისტის ვალერიან შიუკაშვილისა და ლეგენდარული გია ყანჩელის სახელობის სიმებიანი კვარტეტის - თემურ ჯაიანი - ვიოლინო, ნიკა ბარათელი - ვიოლინო, მამუკა ბაბუაძე - ალტა, გიორგი იმანოვი - ჩელო - მონაწილეობით გამართული კლასიკური მუსიკის შედევრებით გაიხსნა. ფესტივალის გახსნას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის, მუსიკალური სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

(გაგრძელება გვ. 2)

სენაკის არტ ფესტივალი-2019

(დასასრული)

ეროვნული სამოსის დღე

ეროვნული სამოსის დღე სენაკში კოსტუმირებული მსვლელობით დაიწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნაციონალურ, ქართულ სამოსში გამოწყობილმა, ჩვენს ქალაქში მოქმედმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა - ,,კუჩხიბედინერი", ,,კოლხი", ,,ოცნება", ,,ლილე", ,,ეგრისი", ,,მეკვლე", ,,მართვე", მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სექტორის აღსაზრდელებმა, მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. კოსტუმირებული აღლუმის დასრულების შემდეგ, მონაწილენი ქალაქის ცენტრალური მოედნისკენ გაემართნენ, სადაც ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და ,,კოლხური ტრიოს" მონაწილეობით საზეიმო კონცერტი გაიმართა. ეროვნული სამოსის დღე სენაკში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულმა საღამომ დაასრულა. სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამოსი, ისტორიის გაცოცხლება ქორეოგრაფიული შტრიხებით, ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა - კიდევ ერთხელ იყო შეხსენება იმისა, თუ ,,ვისი გორისანი ვართ" და როგორი თავდადება გვმართებს ჩვენი ტრადიციების, სულიერი და ეროვნული ღირებულებების დასაცავად. ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. დღესასწაულმა, რომელიც საქართველოში უკვე მეოთხე წელია აღინიშნება, წელს განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა. ის საქართველოს 30-ზე მეტ ქალაქში გაიმართა, მათ შორის, ეს დღე სენაკში სანახაობრივად საინტერესოდ ჩატარდა.

გიორგი უშიკიშვილი და ანსამბლი ,,ლაშარელა"

20 მაისს სენაკი არტ-ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პატრონაჟით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მიმდინარეობს, სენაკს საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, ანსამბლ ,,ლაშარის" ხელმძღვანელი, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი და ლოტბარი გიორგი უშიკიშვილი ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ლაშარელასთან" ერთად ეწვია. შეხვედრა-კონცერტი ღია ცის ქვეშ, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მიმდებარე ცენტრალურ პარკში გაიმართა. ანსამბლ ,,ლაშარელას" მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის შუალედში, გიორგი უშიკიშვილმა სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა შეკითხვებს უპასუხა. მომღერალმა ისაუბრა ქართული ფოლკლორის სიღრმისეული შესწავლის მნიშვნელობაზე, ასევე, გაიხსენა საინტერესო და სახალისო ბიოგრაფიულ მომენტები საკუთარი შემოქმედებიდან. სენაკელ მსმენელთან უშუალო და მრავლისდამტევი დიალოგის შემდეგ, მომღერალი სცენაზე ავიდა და უნიკალური ხალხური სიმღერები შეასრულა. საღამოს დასასრულს, ტკბილხმოვანი აფხაზური და მეგრული სიმღერები მაყურებელმა ,,კოლხური ტრიოს" შესრულებითაც მოისმინა. ,,სენაკი არტ-ფესტივალის" დამაარსებელმა, მსოფლიოში აღიარებულმა პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა მადლობა გადაუხადა ფესტივალის საპატიო სტუმარს დაუვიწყარი საღამოსთვის, რის შემდეგაც, ფესტივალის სამახსოვრო ბანერზე, ფოლკლორული სიმღერების ცნობილმა შემსრულებელმა და ლოტბარმა, ავტოგრაფი დატოვა.

ქალაქური სიმღერების საღამო

სენაკის მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, დღეს, სენაკმა ქალაქური სიმღერების საღამოს უმასპინძლა. მაყურებლის წინაშე ყველა თაობისთვის ერთნაირად პოპულარული ანსამბლი ,,ფორტე" წარდგა. ანსამბლს, რომლის უცვლელი წევრები არიან მანანა მაისურაძე, ირინა კახნიაშვილი, ნინო ახობაძე, ზურა მანჯავიძე, კონცერტმეისტერი ნუცა ჯანელიძე, თითქმის სამი ათეული წელია ქალაქური შედეგრების უბადლო შემსრულებელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს. შეხვედრა-კონცერტი, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო, ღია ცის ქვეშ, ქალაქის ცენტრალურ პარკში გაიმართა. ქალაქის საპატიო სტუმრებმა სასცენო მოღვაწეობის სახალისო და საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს. დასასრულს, ფესტივალის სამახსოვრო ბანერზე, ანსამბლ ,,ფორტეს" წევრებმა, ტრადიციულად, ავტოგრაფები დატოვეს.

ლექცია-შეხვედრა ცნობილ ხელოვანებთან

23 მაისს, ,,სენაკი არტ-ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, მუსიკოს ნუცა ჯანელიძესთან და მსახიობ თათული ედიშერაშვილთან ლექცია-შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ფესტივალის მონაწილე პედაგოგები, ნორჩი მუსიკოსები, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გულახდილი დიალოგის რეჟიმში მიმდინარე შეხვედრაზე, ფესტივალის საპატიო სტუმრები მსმენელებს საკუთარ შემოქმედებასა და ქართული სიმღერის სწავლების საქმეში მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე ესაუბრნენ. მოუსმინეს ახალგაზრდა მომღერლების შესრულებას და რეკომენდაციები გასცეს. დასასრულს, ,,სენაკი არტ-ფესტივალის" დამაარსებელმა, მსოფლიოში აღიარებულმა პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა, სტუმრებს პროფესიული სრულყოფის კუთხით ჩატარებული მასტერკლასისთვის მადლობა გადაუხადა.

ფესტივალის სამეიმო დახურვა

დღეს, სენაკის მუსიკალური ფესტივალი გალა-კონცერტით საზეიმოდ დაიხურა. ღია ცის ქვეშ, ქალაქის ცენტრალურ პარკში გამართულ საღამოზე მონაწილეობა ხელოვნების აკადემიის დასავლეთ საქართველოს VI რეგიონალური მუსიკალური ფესტივალის წარმატებულმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა მიიღეს. ფესტივალის ლაურეატთა და დიპლომანტთა დაჯილდოებისა და ,,სენაკის არტ-ფესტის" დახურვის ცერემონიალს, რომელსაც ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის კოორდინატორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი რუსუდან მილიუტინი უძღვებოდა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, თვითმმართველობის, მუსიკალური სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ,,სენაკის არტ-ფესტივალის" დამაარსებელმა, ხელოვნების აკადემიის რექტორმა, მსოფლიოში აღიარებულმა პიანისტმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ ვალერიან შიუკაშვილმა ხელოვნების აკადემიის მადლობის სიგელები გადასცა მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს გივი მისაბიშვილს, ხელოვნების ცენტრის დირექტორს ვეფხვია ვეფხვაძეს, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორს ლევან უჩანეიშვილს, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დირექტორს ბადრი მამულიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ფესტივალის ორგანიზებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა. ფესტივალის ფარგლებში, კომპეტენტურმა ჟიურიმ იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების 3000 -ზე მეტ მოსწავლეს მოუსმინა, რომელთაგან ლაურეატის წოდება სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გიტარისტთა კვარტეტს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლს, რევაზ ლაღიძის სახელობის ბათუმის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის მოსწავლეს, მევიოლინე ნინო ჭანიას, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის მოსწავლეს, ნორჩ მომღერალ ინა სადუნიშვილს, ქუთაისის მესამე სამუსიკო სკოლის მოსწავლეს, კლარნეტისტ ნიკოლოზ გონგაძეს მიენიჭათ. სხვა მონაწილენი კი ხელოვნების აკადემიის საპატიო დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ,,არტ-ფესტი 2019" , რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პატრონაჟით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით წელს მეექვსედ გაიმართა, ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა - სოლისტი ანა ქეცბაია, ფესტივალის ერთგვარ ჰიმნად ქცეული ვაჟა აზარაშვილის ,,მუსიკით", დაასრულა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

წლები –სიმდიდრეა

ჭეშმარიტი მამულიშვილი

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი“-ს თანამშრომლები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს სახელოვან თავკაცს, უსაყვარლეს პიროვნებას, გამორჩეულ ერისკაცს და უღალატო მეგობარს – ბატონ დემურ გადელიას!

„ქვრივ-ობლების გამკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპურებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი, ლაკადური მირონით მონათლული, არქეოპოლისისა და ძველი ციხე-კოშკების გუშაგი და მეციხოვნე“-ასე შეაფასა რამდენიმე წლის წინათ სულმნათმა პოეტმა გენო კალანდიამ, ამაგდარი პიროვნების – დემურ გადელიას ღვაწლი და დამსახურება, რომელსაც სამოქალაქო ომის ავადმოსაგონარ დღეებშიც არ დაუთმია პოზიცია.

კრიმინოგენურმა დაჯგუფებებმა, მთელს საქართველოში მოთარეშე ბანდებმა, როგორ არ სცადეს მისი მოდრეკა, დაშინება, განადგურება, ბოლოს გაიტაცეს და მძიმედ დაჭრეს კიდეც, მაგრამ მშობლიური საწარმო არ მიუტოვებია და მაინც განაგრძობდა მუშაობას, გვამხნევებდა, გვაიმედებდა, მთელ კოლექტივს.

ჭირსა და ლხინში თანადგომა და ერთგულება ხომ მისი თანდაყოლილი მახასიათებელია.

განუზომელია დემურ გადელიას ღვაწლი და ძალისხმევა. მთელი მისი განვლილი გზა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწოს ადამიანმა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ბატონმა დემურმა, როგორც წარმოების ნიჭიერმა ორგანიზატორმა და აღიარებულმა ქველმოქმედმა, ორი მოწვევის მაჟორიტარმა დეპუტატმა და მეცნიერმა, მრავალი საინტერესო წიგნისა და მონოგრაფიის ავტორმა, ქვეყანაში რეგიონალური ეკონომიკის წარმატებულმა მკვლევარმა, ორგზის ღირსებისა და წმინდა ნიკოლოზის ორდენის კავალერმა, საქართველოს მრავალგზის საპატიო და დამსახურებულმა მეგზევემ, სენაკის და ზუგდიდის საპატიო მოქალაქემ და სხვა მრავალი სახელოვანი რეგალიების მფლობელმა, დაუღალავი შრომითა და საოცრად მაღალი პროფესიონალიზმით დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა და ღირსეულად დაიმკვიდრა საზოგადო მოღვაწისა და ერისკაცის საპატიო ადგილი.

დემურ გადელია მთელი თავის სიცოცხლის არსებით, მრწამსით, ფიქრით, პრაქტიკით, მშენებელი კაცია, მისი ბედნიერება შენებაა, სწორედ ასეთი კაცების მხრებზე დგას ჩვენი ქვეყანა. მან იცის გამარჯვების ფასი, სწამს და სჯერა ადამიანების. ვერ ეგუება უგულო, უქნარა, პიროვნებებს. ჭეშმარიტად სისხლსავსე ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას და სხვანაირად არ შეუძლია. ყოველივე ეს სათავეს იღებს ცხოვრების იმ სტილიდან, რომელიც გამეფებული იყო გადელიების მრავალრიცხოვან ოჯახში, სადაც ჩამოყალიბდა მისი მებრძოლი სული, პიროვნული სიძლიერე და სისპეტაკე, შრომისმოყვარეობა.

დემურ გადელია არის ის პიროვნება, რომელმაც ნულიდან დაიწყო, შექმნა და ჩამოაყალიბა ქვეყანაში ერთ-ერთი უმძლავრესი სამშენებლო კომპანია, რომელიც დღეს ისტორიული არქეოპოლისის სახელს ატარებს და წარმატებულია ქვეყნის მასშტაბით.

ბატონ დემურ გადელიას და „არქეოპოლისის“ სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში საავტომობილო გზების, ხიდების მშენებლობა –რეაბილიტაციის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დონეზე, და „თეთრ სიაში“ მყარად დამკვიდრდება.

გვეამაყება, რომ ჩვენც ამ სახელოვანი საწარმოს კოლექტივს წარმოვადგენთ და ერთად ვიღწვით მისი აღმშენებლობისათვის.

საოცარია, როგორ ახერხებთ ამდენი სითბოსა და სიყვარულის გაცემას, ბატონო დემურ!

ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს გაუმართეთ ხელი, რამდენს გაუკვალეთ გზა ცხოვრებაში.. სოციალურად დაუცველი ადამიანები, ინვალიდები, ავადმყოფები, უმწეო დევნილები, პედაგოგები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ნიჭიერი, შემოქმედი ახალგაზრდები, სპორტსმენები, ხელმოკლე სტუდენტები, გარდაცვლილთა უმწეო ოჯახები. სტიქიით და და ხანძრის დაზარალებულები, ეკლესია-მონასტრები... იყო და არის თქვენი უმთავრესი საზრუნავი

თქვენნაირი ადამიანები იმისთვის იბადებიან, რომ სიხარული აჩუქონ სხვებს, ცხოვრება გაულამაზონ, დარდი შეუმსუბუქონ .

გმადლობთ ყველაფრისათვის: თანაგრძნობისათვის, თანადგომისათვის, ერთგულებისათვის, გმადლობთ იმისათვის, რომ თქვენი არსებობით მრავალ ადამიანს ცხოვრებას უადვილებთ. ძალიან გვიყვარხართ, გვეამაყება თქვენი თანამშრომლობა და თქვენს გვერდით ყოფნა.

საქმე რომელსაც თქვენ უძღვებით, საშვილიშვილოა, რადგან ეს ყველას სჭირდება, რომ ამ გზებით მომავლის საქართველოსკენ მისი გამთლიანებისა და გაძლიერებისკენ მივაბიჯებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენი ცხოვრების ლამაზ და გამორჩეულ დღეს, ბედნიერება და სიხარული არ მოუშალოს ღმერთმა თქვენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს.

გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ თქვენ მომავალშიც სახელოვნად იღვაწებთ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მხნედ და დიდხანს გვეყოლეთ!

სიყვარულითა და
პატივისცემით
თქვენი თანამშრომლები

გილოცავთ!

დემურ გადელია-ადამიანი, რომელიც სახელოვნად ცხოვრობს და წელგამართულად, ამაყად დააბიჯებს ამ წუთისოფელში.

როგორც რაიონულ, ასევე რეგიონალურ და რესპუბლიკურ ბეჭდურ მედიაში მრავალი წერილია გამოქვეყნებული მის სადეპუტატო მოღვაწეობაზე, ორგანიზატორულ ნიჭზე, პიროვნულ თვისებებზე, ქველმოქმედებაზე, გულმოწყალებაზე, სიკეთეზე. იგი დღემდე რჩება გაზეთ „კოლხეთის” საპატიო რესპონდენტად. მდიდარი ბიოგრაფიის და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პიროვნება არც საბავშვო გაზეთთან თანამშრომლობას „თაკილობს”. ერთერთ ინტერვიუში გულახდილად ისაუბრა თავის ბავშვობაზე და შემდგომ წლებში ბავშვებისთვის გაწეულ ქველმოქმედებაზე.

ამჯერად, ყოველგვარი ჟურნალისტური „ფერუმარილის” გარეშე, ადამიანური გულწრფელობით ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ფუძის სიძლიერეს.

დაე, შვილიშვილები –ბაბუას მოსახელე დემური და პატარა იოანე გაიზარდონ გვარის სახელოვან ვაჟკაცებად, არ მოკლებოდეთ მათ გზა-სავალს უფლის წყალობა, მშობლების ლოცვა-კურთხევა. დიდხანს იყოს დემურ გადელია ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცად, საიმედო მამად და ბაბუად, საგვარეულოს ფესვმაგარ მესაძირკვლედ.

ბატონო დემურ, კვლავაც მრავალი ასპექტით წარმოჩენას გისურვებთ თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობაში.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

ბატონო დემურ!

თქვენ, თქვენი ცხოვრების სტილით, მრწამსით, კონკრეტული საქმეებით, ქველმოქმედებით, ორგანიზატორული ნიჭით ემსახურებით ადამიანთა კეთილდღეობას.

ასაკი ადამიანებისათვის სიმდიდრეც არის და სიმაღლეც. შრომაში, ძიებაში, შენებაში შეძენილი წლებით შთამომავლობას უჩვენეთ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოიპოვოს ადამიანმა სიცოცხლეშივე აღიარება.

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ულევ სიხარულს, მოყვასის სიმრავლეს. შეგეწიოთ თქვენს მიერ აშენებული ტაძრების მადლი.

კვლავ წელგამართულმა იარეთ ქართულ მიწაზე. იდღეგრძელეთ მრავალ ათეულ წელს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გული კირცხალია,
დარეჯან დავითაია

კვალი –საშვილიშვილოდ ხილული

ზოგის კვალი უჩინარია ამქვეყნად, ზოგის კი საშვილიშვილოდ ხილული. ბედნიერებაა, როცა შენი სიცოცხლით კვალს დატოვებ, გამოადგები შენს ქვეყანას, შენს ხალხს.

სიცოცხლით რომ გამოადგე სამშობლოს, დემურ გადელიასავით თავდაუზოგავად უნდა შრომობდე, აშენებდე, ქმნიდე, სიყვარულით იხარჯებოდე.

ბატონ დემურ გადელიას სახელი ყველამ იცის. როდესაც ამ პიროვნებაზე წერ, არ იცი საიდან დაიწყო. უპირველესად ყურადღება მის სიმტკიცეზე, სიმხნევეზე, შრომისმოყვარეობაზე, ერთგულებაზე, ქველმოქმედებაზე, განათლებაზე, ჭკუით და ნიჭით განვლილ ცხოვრებაზე უნდა გაამახვილო.

დემურ გადელიას ყველა ეცოდება, იცის რა ძნელია... როცა გიჭირს და არ გაქვს... ვინ იცის, რამდენ გაუსაძლის გასაჭირში მყოფი ოჯახისათვის გაუწვდია ხელი, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა დაუფინანსებია, მისი ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩენილან დევნილები, ომის ვეტერანები, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები.

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი”-უთქვამს ვაჟას. თქვენ წარმოიდგინეთ თურმე მასაც ჰყავს მტერი, მაგრამ ცუდის მდომთ მუდამ სიკეთეს უპირისპირებს, მადლით გასხივოსნებული მიდის სიმაღლეებისაკენ.

თავად წიგნიერი და განათლებული პატივს სცემს განათლებას და კულტურას, ეხმარება სოფლის კულტურის მუშაკებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში.

ამ დღეებში ძველი სენაკის არნოლდ ჩიქობავას სახელობის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელებს გამოსაშვები საღამოსათვის მოუწყო ძველი სენაკის კულტურის სახლი. სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის” ძალებით 150 კვ.მეტრზე დაიგო ბეტონის საფარი.

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო ბატონ დემურ გადელიას გაკეთებულ საქმეებზე, საქართველოს პარლამენტის ორგზის დეპუტატად არჩევის პერიოდში მოსახლეობისათვის მოგვარებულ პრობლემებზე, ეკლესია-მონასტრებისათვის გაცემულ შესაწირზე, ქალაქის თუ რეგიონის მასშტაბით აშენებულ გზებზე, ხიდებზე, გალავნებზე.

ბატონო დემურ, ძველი სენაკის კულტურის დარგის მუშაკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის და თითოეული მცხოვრების სახელით მადლობას გიხდით ქველმოქმედებისათვის, არაერთი ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებისათვის.

აქვე მინდა ვისარგებლო ექსკლუზიური უფლებით და მოგილოცოთ დაბადების დღე. დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ.

დიახ, თქვენ დიდხანს უნდა იცოცხლოთ, კიდევ ბევრი სიკეთის კეთება მოასწროთ, კიდევ ბევრი ააშენოთ და დაამშვენოთ.

წარმატებული დღეები მოგმადლოთ უფალმა.

ნელი ჯანჯღავა,
ძველი სენაკის თემის
მცხოვრებლების სახელით

ღვაწლმოსილი

ყოველი ადამიანი, რომელიც სამყაროს ევლინება განუმეორებელია და თავისთავადი, თითოეულ მათგანს უფალი თავის წილ მადლს, სიკეთეს, სიბრძნეს, სიყვარულს.... ატანს საგზლად ცხოვრების გზაზე. მთავარია ვინ როგორ გამოიყენებს ამ ყველაფერს და რას მოახმარს თავის ცოდნასა და ენერგიას. ჩვენი დღევანდელი წერილის მთავარი გმირიც ამ მხრივ განსხვავებული, გამორჩეული და მისაბაძია. ის ჩვენი სოფლის უსაყვარლესი პიროვნებაა, დაჯილდოებულია პოეტური ნიჭით, ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული, უყვარს ადამიანები და მათ დასახმარებლად ყოველთვის მზადაა. მან თავისი საოჯახო წიგნადი ფონდი მთლიანად სოფლის ბიბლიოთეკას უსახსოვრა. ერთი სიტყვით ეს ამაგდარი პიროვნება გული კირცხალიაა, რომელსაც საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს II ნოსირის ბიბლიოთეკაში. შეხვედრას ესწრებოდა სოფლის მოსახლეობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა, ძველი სენაკის სკოლის დირექტორი ვ. ჯანჯღავა, ამავე სკოლის პედაგოგიური კორპუსის წარმომადგენელი ილო კუპრეიშვილი, მოსწავლე –ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ღევან უჩანეიშვილი, მთავარი სპეციალისტი ნათია ეჯიბია. ქალბატონი გულის განვლილ გზაზე ისაუბრა ბიბლიოთეკარმა ნელი ჯანჯღავამ, უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

გული კირცხალიას გულთბილი სიტყვებით მიმართეს II ნოსირის პედაგოგებმა: დარეჯან კიკალეიშვილმა, ნინო ჯიმშელეიშვილმა, სოფლის მაცხოვრებლებმა, გულნაზ კობახიძემ, ია ჭიტაძემ, რომა და ირაკლი კირცხალიებმა, მურთაზი კერძაიას ოჯახმა, თამთა კერძაიამ და სხვებმა.

ემოციით იყო დატვირთული მეოთხე კურსის სტუდენტის მონიკა კერძაიას მიმართვა: „შენ გვასწავლე ლექსები, მხატვრული კითხვა, სიმღერა, გვიყვარხარ“

ქალბატონმა მარინე აბრამიამ წიგნი „ფარაჯიანი ჯარისკაცები“ და წითელი ვარდები უსახსოვრა ქალბატონ გულის.

საინტერესო ღონისძიებას კორდინირებას უწევდა ძველი სენაკის კულტურის სახლის ნიჭიერი კოორდინატორი ქალბატონი ვენერა ხახუბია და მეორე ნოსირის კულტურის სახლის კოორდინატორი რევაზ ჩილაჩავა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ძველი სენაკის სკოლის ნიჭიერი მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს ქალბატონი გული კირცხალის ლექსები.

სიტყვით გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ვენერა ხახუბიას, მოსწავლეებს, ბიბლიოთეკარ ნელი ჯანჯღავას საინტერესო ღონისძიების მოწყობისათვის. გამომსვლელებმა ისურვეს ასეთ ღვაწლმოსილ ადამიანებთან შეხვედრა ხშირად ჩატარდეს, რათა მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს ასეთნი და ისწავლონ მათ მაგალითზე.

ნინო ჯიმშელეიშვილი,
II ნოსირის სკოლის პედაგოგი

სილამაზე გადაარჩენს სამყაროს

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა. წელს აღნიშნული თარიღის მთავარი თემა იყო „მუზეუმები როგორც კულტურული ჰაბები – ტრადიციის მომავალი.

კვირეულის ფარგლებში, 16 მაისს, ხალხმრავლობა იყო მუზეუმში, სადაც თავი მოიყარეს რაიონის საზოგადოების წარმომადგენლებმა, კულტურის სფეროს მუშაკებმა, ახალგაზრდობამ.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, გაიხსნა მსოფლიოს უდიდესი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, რემბრანტის, კარავაჯოს, ჯორჯონეს, ტიციანის, რუბენსისა და სხვათა ცნობილი ტილოების რეპროდუქციები. რომელთა ორიგინალები ინახება დრეზდენის ნაციონალურ გალერეასა (გერმანია) და ერმიტაჟში (რუსეთი).

გამოფენის სლოგანი იყო „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, როგორც ბიბლიურ-მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრები, ასევე პორტრეტები, ნატურმორტი, პეიზაჟი, ჟანრული კომპოზიციები.

ღონისძიებას უძღვებოდა ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნერ-მუშაკი ნანა ფირცხალავა.

გამოფენის ირგვლივ თავიანთი აზრი გამოთქვეს არქიტექტორმა ზაზა ჟანჯღავამ და მხატვარმა ემილ გეგენავამ.

პირველი საჯარო სკოლის გერმანული ენის პედაგოგმა ქალბატონმა ნინო კორშიამ გაიხსენა სტუდენტობისას დრეზდენის სურათების გალერეის დათვალიერებისას მიღებული შთაბეჭდილებები.

ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა – მარინე აბრამიამ მიმოიხილა რაიონის სამუზეუმეო ცხოვრების წარსული, გაიხსენა დასაქმებული მუშაკები. მიულოცა მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე.

მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თანადგომისთვის. ჩატარებული ღონისძიების ლამაზი ჩანაფიქრისა და მისი ლამაზად განხორციელებისათვის, აღნიშნა ნანა ფირცხალავას დამსახურება. მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა ლევან უჩანეიშვილს, თანადგომისათვის – მამუკა კუჭავასა და ლაშა გვასალიას. ამასთან მუზეუმის კოლექტივს გადაეცა საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დის, ქალბატონ ციცინანა შარტავას თბილი მილოცვები.

მუზეუმის კოლექტივის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის მადლობის სიტყვები არ დაიშურეს ქალბატონებმა გული კირცხალიამ და ლეილა გაბესკირიამ, ბატონებმა ბორის დავითაიამ და დიმა ქარჩავამ.

ღონისძიების დასასრულს, მუზეუმში შეკრებილთ სიტყვით მიმართა, მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და მომავალი წარმატებები უსურვა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ლევან უჩანეიშვილმა.

* * *

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში 15 მაისს პირველი საჯარო სკოლის მეშვიდე კლასში (დამრიგებელი ელიკო ხარებავა) ჩატარდა საკლასო კონფერენცია თემაზე „მუზეუმები“. მოსწავლეებმა: ნათია ტუკვაძემ, მარიამ ნადარაიამ, ანა კემულარიამ, ომარ დამენიამ და გიორგი ნაჭყებიამ წარმოადგინეს საუკეთესოდ შესრულებული რეფერატები და გააკეთეს საინტერესო პრეზენტაციები. მათ ერთმანეთს გაუზიარეს მსოფლიოს მუზეუმების: პრადოს, პერგამონის, ლუვრის, ერმიტაჟისა და მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმების დაარსების ისტორია და ისაუბრეს იქ დაცულ ცალეულ ექსპონანტებზე. პრეზენტატორებმა გასცეს პასუხი აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებზე. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სკოლის სახვითი ხელოვნების პედაგოგმა მამუკა კუჭავამ მანვე გამოთქვა სურვილი სამომავლოდ ახალგაზრდების მიერ ესოდენ პრესტიჟული მუზეუმების ხილვისა.

* * *

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში 17 მაისს მუზეუმში გაიხსნა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, სადაც წარმოდგენილ იქნა ქალბატონების ირმა კუპრეიშვილისა და მერი სულაბერიძის მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები(გულსაბნევები, საყურეები, სამაჯურები, სააღდგომო კვერცხები).

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ კულტურის სამსახურის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. შესავალი სიტყვით გამოვიდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი დამირ კუჭავა. გამოყენებით ხელოვნებაზე და წარმოდგენილ ნივთებზე ისაუბრა მეცნიერ-მუშაკმა ლალი გულუამ. ქალბატონმა მერი სულაბერიძემ ისაუბრა თავის განვლილ შემოქმედებით პერიოდზე. ქალბატონმა ირმა კუპრეიშვილმა მუზეუმის თანამშრომლებს მიულოცა პროფესიული დღესასწაული და გადასცა ხელთნაკეთი გულსაბნევები.

გვერდი მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

2019 წლის 13 - 15 მაისს ოზურგეთში ჩატარდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, შაქრო ტუღუშის და იური ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნული-რომაულ ჭიდაობაში 2008-2010 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭიდავეები. გიორგი ქვარცხავამ (38კგ) და ლუკა გერგაიამ (41კგ) მოიპოვეს პირველი ადგილი.

ვულოცავთ მოჭიდავეებს და მათ მწვრთნელს: რამაზ კოკაიას გამარჯვებას.

ძიუდო

2019 წლის 11-12 მაისს ბოლნისში, ჩატარდა დავით ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-5 საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს, სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოისტებმა და დაიკავეს შემდეგი ადგილები: ალექსი გულუამ (27 კგ.წ/კ.) – I ადგილი, ალექსი გულუა (30 კგ.წ/კ.) – II ადგილი, საბა კანკავამ (21 კგ.წ/კ.) და ვახო ჩოჩიამ (50 კგ.წ/კ.) –III ადგილი.

წარმატებებს ვუსურვებთ ძიუდოისტებს და მათ მწვრთნელებს: უჩა ჯღარკავას და გელა ხარბედიას

* * *

2019 წლის 8 მაისს ქ.თბილისში ჩატარდა, საქართველოს ჩემპიონატი ვეტერანებს შორის ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ 30 წელს გადაცილებული სპორტსმენები. სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოს მწვრთნელ-მასწავლებელმა ელგუჯა გვასალიამ დაიკავა მეორე ადგილი (90კგ. წ/.კ)

ვულოცავთ ვეტერან ძიუდოისტს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს შემდეგ ეტაპებზე.

კრივი

სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოკრივე, საქართველოს ჩემპიონი ლუკა წულეისკირი (38კგ) საქართველოს მოსწავლე მოკრივეთა ნაკრებთან ერთად იმყოფება ერთობლივ ს.ს. შეკრებასა და ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ქ. მინსკში, ბელორუსიაში.

ეს შეკრება არის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც პირველად საქართველოს კრივის ისტორიაში გაიმართება ქ.თბილისში 2-12 აგვისტოს.

წარმატებებს ვუსურვებთ ლუკას და მის მწვრთნელებს: გიორგი კემულარიას და ილია ცაავას.

ირინა გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ფულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223779; 223711; 223499.